პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 235 (19976) | სამშაბათი, 13 ოქტომბერი, 1987 წელი. | ◆ ფასი 3 კაპ.

მზად ვართ ზამთრისათვის?

შემოდგომის მეორე თვე განახევრდა. მალე დაზამთრდება. ახლა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველი გონიერი და თადარიგიანი ხელმძღვანელი ერთხელ კიდევ შეეკითხება საკუთარ თავს — მზად ვართ ზამთრისათვის? პირუტყვის ნორმალურად გამოზამთრებისათვის კი მთელი კომპლექსური ღონისძიებების თავის დროზე განხორციელებაა საჭირო. კომპლექსი გულისხმობს ბინების მზადყოფნას, საჭირო მაღალხარისხოვანი სხვადასხვა სახის საკვებს და, რაც მთავარია, მეცხოველეებს სანიმუშო საყოფაცხოვრებო პირობები უნდა პქონდეთ.

ზამთრისათვის თავის დროზე და კარგად ყოველთვის ის საზოგადოებრივი მეურნეობები ემზადებიან, სადაც მაღალ დონეზეა შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა, სადაც ყოველმა ბრიგადამ, ფერმამ, ყოველმა მშრომელმა ჩინებულად იცის თავისი საქმე, ხოლო ხელმძღვანელი მუდამ საქმის კურსშია, ზამთრისათვის მზადების არც ერთი მცირე დეტალიც კი არ გამორჩენა მხედველობიდან. სწორედ რომ ქების ღირსნი არიან ლაგოდეხის და ხიდისღის რაიონების მეცხოველეები, საკვებმომპოვებლები, ფერმებისა და მეურნეობების, აგრეთვე რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები რომლებმაც სულ ახლახან წინა ბამზამთრებისათვის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და საკავშირო გარდამავალი დროშები დაიმსახურეს. აღნიშვნის ღირსი არიან ხიდისღელები, რომლებმაც რესპუბლიკურ გარდამავალ დროშას საკავშიროც მიუმატეს და მომავალი გამზამთრებისათვისაც კარგად ემზადებიან. უხვში საკვების დამზადების გეგმა 141 პროცენტით შესრულეს, დაბინავებულია 93.164 ტონა უხვი საკვები, გეგმით კი 66.000 ტონას ვარაუდობდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ თავიანთი პირუტყვი გამზამთრებისათვის უზრუნველყვეს საკვებით და შესაძლებლობა აქვთ სხვასაც უწილადდონ.

ამ დღეებში კახეთის რეგიონი მოიარეს და ყურადღებით დაათვალიერეს რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა. ისინი შეხვდნენ მინდვრის, ბაღ-ვენახებისა და ფერმების მშრომელებს. ნახეს, როგორ მიმდინარეობს ხუთწლედის მეორე წლის მოსავლის აღება და დაბინავება, გაეცნენ შრომელთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობებს. დადებითთან ერთად გამოვლინდა ნაკლოვანებებიც, რომლებიც ხელს უშლის, აფერხებს მოსავლის დროულ აღებასა და დაბინავებას. პირუთვნელი შეფასება მიეცა შექმნილ ვითარებას.

ადგილებზე ჯერჯერობით ყველგან როდი აფასებენ არსებული სიტუაციის სიმწვავეს. სწორედ ამის შედეგია ზოზინი, არაორგანიზებულობა, მუშახელისა და ტექნიკის მოუქნელი მანევრირება. ბევრგან არ ჩქარობენ საკმაო საკვების მომარაგებისათვის. ახლა მთავარია არ შევანებოთ ყურადღება, არ მოვდუნდეთ, აქტიურად და მუუპოვრად ვიმოქმედოთ. სწორედ ახე იქცევიან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ახპინძის, ბორის, გურჯაანის, ყვარლისა და სხვა რაიონების მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობები. ახლა უამინდობასთან ორთაბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც ითვალისწინებს დროისა და ადამიანის ფაქტორს, ყველაფერს ღონობს იმისათვის, რომ დაზამთრებამდე მოიმარაგოს სხვადასხვა სახის საკმაო მაღალხარისხოვანი საკვები.

ზამთრისათვის საკვების მომარაგების საქმეში შეუნყნარებელია თვითდამშვიდება, გულარხეინობა და უგულგრილობა. ასეთ ვითარებაში ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ მშრომელთა დასარაზმავად და მატერიალური რესურსების გამოსაყენებლად. მართალია, ამ შემოდგომაზე ჩვენი სოფლის მეურნეობის მრავალდარგობრიობის გამო საქმე უამრავია, მაგრამ გონიერი ხელმძღვანელი შუახელს, სხვა რესურსებს ისე გაანაწილებს, რომ არც ერთი სამუშაო არ ჩაბორნეს. ოქტომბრის პირველი ხუთდღიურისათვის ლანჩხუთის, ხობის, ცაგერის, ორჯონიკიძის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებს უხვში საკვების დამზადების გეგმები სანახევროდაც არ პქონდათ შესრულებული. განსაკუთრებული ყურადღება მართებთ სტიქიისაგან ძლიერ დაზარალებულ ლენტეხის რაიონის საკვებმომპოვებლებს, სადაც ასევე სანახევროდ არ არის შესრულებული უხვში საკვების დაგროვების გეგმები. მათ სხვა რაიონების დახმარებაც სჭირდებათ, რადგან მთაში საკმაოდ ადრე აცივდა და საკვების დაგროვება ჭირს.

„ზამთრისათვის [illegible] მომზადებაც არ უნდა დავაყოვნოთ. საჭიროა ნორმალური პირობები შევუქმნათ მშრომელებს, ვიზრუნოთ ფერმების კეთილმოწყობისა და დროული რემონტისათვის. საკვების მარაგი ჯერჯერობით არ კმარა საქართველოში...“ — წერდა ამ დღეებში გაზეთი „პრავდა“ თავის მოწინავეში. და მართლაც, საკვების რა მარაგზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ლანჩხუთელებს თივის დაშზადების დავალება 5 ოქტომბრისათვის 34 პროცენტით პქონდათ შესრულებული, მარნეულელებს — 44 პროცენტით, წულუკიძელებს — 31, ჩხოროწყუელებს — 48 პროცენტით. დასანანი ის არის, რომ ეს ბარის რაიონებია, და მათ თავის დროზე რომ ეზრუნათ ნათესი და ბუნებრივი ბალახების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებაზე, ყველა რესურსისა და რეზერვის ამოქმედებაზე, ახლა ასეთ მდგომარეობაში არ ჩავარდებოდნენ. უხვში საკვების მარაგის შესავსებად რაიონების პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა შემოდგომის ამ დღეებში ყველაფერი უნდა იღონონ.

დამაფიქრებელია ისიც, რომ ხილოსისა და ბალახის ფხვნილის, ნამჯისა და სხვა სახის საკვების დაშზადების საქმე რესპუბლიკაში ყოვნდება. რესურსები და რეზერვები აქაც არის, მთავარია ისინი დროულად ავამოქმედოთ, გულისყურით ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მინდვრად არ დარჩეს არც ერთი კოლოგრამი ბალახი, ნამჯა, სიმინდის ჩალა, ძირხვენები და სხვა. ეს საკვებმომპოვებელთა გადაუდებელი საქმეა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა 1987 წლის საკვების დაშზადების კამპანიის დასკვნითი ეტაპის ორგანიზებული მოწყობის უზრუნველყოფისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სახოფლო-სამეურნეო ორგანოების გადაუდებელ ამოცანათა საკითხი. ცენტრალური კომიტეტი მკაცრად აფრთხილებს უწინარესად პარტიის სახოფლო რაიკომებს, რაისაბჭოს აღმასკომებს, აგროსამრეწველო გაერთიანებებს, რომ განახორციელონ მტკიცე ღონისძიებანი, რათა მოკლე დროში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, რომლებიც საკვებმოპოვებაში დღესდღეობით არსებობს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებას, წარმოებაში დანერგვას. ნითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის, წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობების მეძროხეობისა და ახმეტის რაიონის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ფერმები სანიმუშოა. ამ ფერმებში პირუტყვს ზოოვეტერინარული წესების დაცვით უვლიან და პატრონობენ, რის გამოც პირუტყვის პროდუქტიულობა მაღალია. ნორმალურად გამოზამთრებისათვის თავის დროზე ზრუნავენ და ამიტომაც მთელ წელიწადს არ წყდება წველადობა, ხორცის წარმოება. მთავარი კი ის არის, რომ ამ ფერმებში შრომისა და ყოფა-ცხოვრების სანიმუშო პირობებია.

ასეთი ფერმები თითქმის ყველა რაიონშია, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გამოცდილების გასაზიარებლად რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებანი ნაკლებად ზრუნავენ, საჭიროა პატივმოყვარეობის ზღვდე გადავლახოთ, მივიდეთ, გავეცნოთ, შევისწავლოთ და გამოვიყენოთ მოწინავეთა გამოცდილება. ეს დიდი და საჭირო საქმეა და მას მთელი გულისყურით უნდა მოეკიდონ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და განსაკუთრებით სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები.

რესპუბლიკის ბევრ რაიონში მომარაგებული საკვების რაოდენობა, წინასწარ გამოანგარიშებით, საკმარისი არ იქნება. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ჯერ კიდევ არ უზრუნიათ საკვების დეფიციტის დაფარვის საშუალებებზე, გამოზამთრების დაწყებამდე კი სულ ცოტა დრო დარჩა. არ ხორციელდება საკვების დაგროვების საშემოდგომო რეზერვების — ბალახის მეორე ნათიბის ხელახალი და შუალედური ნათესების მოსავლის, ნარჩენების მაქსიმალური გამოყენების ღონისძიებანი. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს, რომ მნიშვნელოვნად გარდაიქმნას საშუშოთა ორგანიზაცია საკვების დაშზადების კამპანიის ბოლო ეტაპზე, განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი, რათა ზამთარს მომზადებული შეხვდნენ და ჭელიწადის ამ დროს არ შენელდეს პროდუქციების წარმოება და დაშზადება.

ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი ლენინგრადში ჩავიდა

12 ოქტომბერს მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

პულკოვოს აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. ფ. სოლოვიოვი, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

(საკდესი).

მარანშია 292 ათას ტონაზე მეტი

კახეთის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში როველი მთავრდება. ზოგან წლის დავალებას პირნათლად ასრულებენ. **გუშინ ლაგოდეხის რაიონის მევენახეებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა, 18.030 ტონის ნაცვლად დამზადებულია 20.156 ტონა ყურძენი.**

კახეთის რეგიონის მევენახეებმა 11 ოქტომბრისათვის 273.880 ტონა ყურძენი მიჰყიდეს სახელმწიფოს, რაც გეგმის 72,1 პროცენტია. როველი გრძელდება.

როველი გიჩაღდა აგრეთვე ქართლის რაიონების ზვრებში, მოკრეფილია 17.881 ტონა ყურძენი.

თანდათან როველმა დასავლეთ საქართველოს ზვრებში გადაინაცვლა. ყურძნის კრეფა დაიწყეს საჩხერის, გეგეჭკორის, თერჯოლის რაიონებში.

სულ რთველის დაწყებიდან საქართველოს ზვრებში მოკრეფილი და დამზადებულია 292.785 ტონა ყურძენი.

ამინდი დღითი დღე უარესდება, ყურძნის კრეფა უნდა დაჩქარდეს.

70 1917·1987 კომუნისტური შაბათობის შესასხვედრად

საქართველოს საწარმო-ორგანიზაციათა შრომითმა კოლექტივებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსულად შეხვედრისათვის ემზადებიან, მხარი დაუჭირეს მოსკოვის მშრომელთა პატრიოტულ ინიციატივას და გადაწყვიტეს ამ ღირსსახსოვარი მოვლენის აღსანიშნავად 17 ოქტომბერს მოაწყონ კომუნისტური შაბათობა.

ისეთი მოწინავე საწარმოო გაერთიანებებისა და ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა, როგორიც არის თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა, სოხუმის „ორგტექნიკა“, ბათუმის ხის დამუშავებელი კომბინატი, ცხინვალის „მინანქარსადენი“. ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა, ფოთის ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელი ქარხანა, ჭიათურის ზ. პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველო და სხვები, ვალდებულება იკისრეს შაბათობაზე მიაღწიონ უდიდეს შრომის ნაყოფიერებას, იმუშაონ დაზოგილი რესურსებითა და მასალა-ნედეულით, შეასრულონ მთელი სამუშაოები მაღალხარისხოვნად და გამომუშავებული სახსრები გადარიცხონ მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში.

წარმოების სფეროში დაუსაქმებელი მშრომელები, მოსწავლეები და სტუდენტები ამ დღეს აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ დასახლებული პუნქტების ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებში, ჯართის, მაკულატურის შეგროვებაში, ვაგონების გადმოცლაში, გამწვანებაში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის მშრომელთა ინიციატივას.

შექმნილია კომუნისტური შაბათობის მომწყობი რესპუბლიკური შტაბი. რესპუბლიკის პროფსაბჭომ შეიმუშავა შაბათობის მაღალ დონეზე მოწყობის ღონისძიებანი. (საინფორმი).

„ᲐᲘᲐᲗᲣᲠᲛᲐᲜᲒᲐᲜᲣᲛᲘᲡ“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივი, რომელმაც ვადამდე შეასრულა წლევანდელი ცხრა თვის დავალება, ტემპის შეუნელებლად განაგრძობს მუშაობას. მის ანგარიშზეა შვიდი ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი მანგანუმის კონცენტრატი.

სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს ეძღვნება, სათავეში ჩაუდგა ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველო.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვამ, საქმისადმი კეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ აქაურ მაღაროელებს საშუალება მისცა მნიშვნელოვნად შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება.

საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია კომპლექსური ბრიგადის წევრმა, კომუნისტმა მურმან კობერიძემ. მან ვადამდე შეასრულა ხუთწლედის მეორე წლის გეგმა.

სურათებზე: სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე მურმან კობერიძე; მანგანუმის მოპოვება ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ღია კარიერებში.

ა. მაჰაკიანის ფოტო (საინფორმი).

გავიხსენოთ შარშანდელი გაკვეთილი

დადგა საიუბილეო წლის პროგრამის შესრულების გადამწყვეტი ეტაპი. **რესპუბლიკის მშრომელთა სამეურნეო საქმიანობის შედეგები დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოემზადებიან საბრძოლველო, სასოფლო-სამეურნეო, სანიმნო-კომუნალური ობიექტები ზამთრისათვის. ამასთან დაკავშირებით დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ენერგეტიკოსებს, ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც მიეძღვნა წარმოების პროცესების მართვისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოხმარების საკითხებს.**

საქართველოს ენერგეტიკის მომზადება რთულ პირობებში მიმდინარეობს. წარმატებით აღმოიფხვრა ალეური ზამთრის სტიქიურ უბედურებათა შედეგები, მაგრამ აქ ჯერჯერობით სრულად არ გამოუყენებიათ თბოსადგურების სიმძლავრეები. თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში, კერძოდ, უნდა დაჩქარდეს პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოები, უზრუნველყოფილ იქნეს მათი მაღალი ხარისხი.

უახლოეს წლებში სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა ზრდა გადააჭარბებს წარმოებული სიმძლავრეების მატებას. ამიტომ მათი შევსების პირველი მნიშვნელოვანი წყარო უნდა გახდეს უმაკრესი ეკონომია. წვრილმანები არ არსებობს, როცა საქართველოს საიმედო დაბრკოლება აღემართოთ რესურსების განიავების გზაზე. ბევრი რამ შეიძლება მოგვეცეს, მაგალითად, ისეთი ღონისძიებების განხორციელებამ, როცა ელექტროსიმძლავრეთა ხმარებას შევამცირებთ ცვლების მიხედვით დატვირთვის საწყლობრივი გადატანის, დასვენების დღეებისა და ცვლების დაწყების გადაადგილების, ზამთრის პერიოდისათვის ენერგოტევადი მოწყობილობის რემონტის გადატანის გზით.

დიდი მნიშვნელობა აქვს სითბოსა და სინათლის ხარჯვის რეგულირების ხელსაწყოებით თბოპუნქტების აღჭურვას. ამინდის პირობების მიხედვით სახლებში ტემპერატურის ავტომატური მართვის მეოხებით ისინი შეინახავენ ბევრ სითბოს. რესპუბლიკის თბომეურნეობებმა მეტი დაინტერესება და სიმტკიცე უნდა გამოიჩინონ ახალი ხელსაწყოების შეძენაში.

ენერგეტიკული რესურსების მარაგის შევსების მეორე მნიშვნელოვან წყაროდ უნდა გადავაქციოთ ენერგიის არატრადიციული სახეობანი — მზე, ქარი, თერმული წყლები, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე. სპეციალისტებმა შემჭიდროებულ ვადებში უნდა შეიმუშაონ მათი გამოყენების ზუსტი და ამომწურავი პროგრამა. მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი შემდგომში რესპუბლიკისათვის, საჭირო სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის შენარჩუნება.

პარტიის ეკონომიკური პოლიტიკისა და სამეურნეო პრაქტიკის ცენტრშია ადამიანი მთელი თავისი რეალურ ინტერესებითა და მოთხოვნილებებით. უზრუნველყონ ინ ვრ შრომის, საწარმოო ყოფის სათანადო პირობებით ავდარში, რაოდენ დიდხანსაც უნდა გაგრძელდეს იგი, სამეურნეო ხელმძღვანელ ბ ი ს, ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების უმთავრესი ამოცანაა. არ უნდა დაველოდოთ დადგენილ ვადას და უკვე ამ დღეებში დავიწყოთ საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების სათბობ სისტემაში ჩართვა, რათა კიდევ ერთხელ შევამოწმოთ, წესრიგშია თუ არა ყველაფერი.

მაგრამ ყველგან როდი ეკიდებიან ადამიანის საზრუნავს სათანადო პასუხისმგებლობით. თათბირზე განიხილეს საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ ემზადებიან ზამთრისათვის ქალაქები გორი, წყალტუბო, ტყიბული და მარნეული. აქ გამოვლინდა ბევრი ნაკლი, ხარვეზი, რომლებიც გამოწვეულია ამ საქმისათვის პასუხისმგებელ პირთა დაუდევრობით. თათბირმა ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელებს წინადადება მისცა სასწრაფო ღონისძიებანი განახორციელონ და სიცივეების დადგომამდე გამოასწორონ მდგომარეობა.

(საინფორმი).

ვიზიტი დასრულდა

ფრუნზე. 11 ოქტომბერი. დასრულდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მ. კოივისტოს ვიზიტი სსრ კავშირში. იგი ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდა ოფიციალურ ვიზიტად საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით. დღეს სტუმარი სსრ კავშირიდან გაემგზავრა.

ყირგიზეთის დედაქალაქის აეროპორტში პრეზიდენტი და მისი მეუღლე გაეცალეს ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. მ. მასალიევმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

• • •

სამშობლოში მიმავალი ფინეთის სახელმწიფოს მეთაური მცირე ხნით ჩამოდა მოსკოვში. ვნუკოვოს აეროდრომიდან გაფრენისას მას და მის მეუღლეს აცილებდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე გ. ს. ტარაზევიჩი, სხვა ოფიციალური პირნი.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲢᲔᲚᲘ ᲛᲘᲮᲔᲚᲘᲗᲘᲗᲔᲚᲐ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველ კუთხეში საყოველთაო ენთუზიაზმის ვითარებაში ემზადებიან ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისათვის, რის შესახებაც ცნობებს ყოველდღიურად გადმოსცემს რედაქციის ტელეტაიპი. აი ერთი მათგანი: მაგადანში გაიხსნა

ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ

იგი აღიმართა მოედანზე, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს.

ლენინის ბრინჯაოს ფიგურა დაიდგა წითელი გრანიტის კვარცხლბეკზე. ძეგლის ავტორები არიან მოსკოველი მხატვარი ს. გერასიმენკო და არქიტექტორი ს. ფეოქტისოვი. ძეგლი ჩამოასხეს ლენინგრადის ქარხანა „მონუმენტსკულპტურაში“.

▼▼

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

12 ოქტომბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურ პროკურორთა ეროვნული ასოციაციის დელეგ ა ც ი ა, რომელსაც ასოციაციის პრეზიდენტი, არკანზასის შტატის გენერალური პროკურორი ს. კლარკი მეთაურობს.

საუბრის დროს სტუმრებს გააცნეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, ადგილობრივი საბჭოების უფლებები, პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება როგორც მთელი ქვეყნის, ისე რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე გარდაქმნის დროს.

ამერიკელ პროკურორთა სახელით ს. კლარკმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობის ა თ ვ ი ს, რომელიც დელეგაციის წევრებს გაუწიეს საქართველოში.

პ. გ. გილაშვილმა უპასუხა ამერიკელ პროკურორთა შეკითხვებს.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი ვ. რაზმაძე.

▼▼

საბჭოთა სპეციალისტებს დიდი ავტორიტეტი აქვთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამის ერთ-ერთი მაგალითი გახლავთ

ᲙᲣᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲗ

ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი პროექტები. ამ ქვეყნის ხუთ სხვადასხვა ქალაქში ერთდროულად, შეუდგნენ რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემკეთებელი ხუთი საწარმოს მშენებლ ო ბ ა ს. პროექტები შეიმუშავეს „საქაგრომრეწამენის“ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტებმა. ძირითადი მუშაკვეთებია კუბის შაქრის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები.

პროექტის შედგენამდე ინსტიტუტმ ა სპეციალისტთა დიდი ჯგუფი მიავლინა კუბაში. ისინი გაეცნენ ადგილობრივ პირობებს და მასპინძლებს ურჩიეს, როგორ უნდა ააგონ საწარმოები. ქართველ სპეციალისტთა რეკომენდაციებმა და პროექტებმა კუბელთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲢᲔᲓᲘᲒᲔᲜᲪᲘᲐ

ᲕᲘᲧᲝᲗ ᲡᲘᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲔᲚᲜᲘ

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებათა წინა საოლქოში შემდეგ განვლილ პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა. სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების უშუალო ინიციატივითა და მეცადინეობით მრავალმა მეცნიერულმა ნაშრომმა პრაქტიკულად შეისხა ხორცი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა წარმოებაში დანერგვა ხომ ჩვენი უპირველესი საზრუნავია. ჩვენს საზოგადოებაში გაერთიანებულია 250 ათასზე მეტი კაცი. სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საბჭო სტრუქტურულად აერთიანებს 21 დარგობრივ გამგეობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მეექვსე პლენუმზე აღინიშნა, რომ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საბჭოები უნდა გახდეს არა მარტო რეზერვების ძიების შტაბი, არამედ წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციის დამამკვიდრებელი.

ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში გაიშალა მუშაობა, რათა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პირველად ორგანიზაციებში შექმნილიყო შემოქმედებითი ბრიგადები სამოქმედო დავიზით: „ინსტიტუტი — ცენტრალური საქარხნო ლაბორატორია — საამქრო“. მაგალითად, შავი მეტალურგიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის ინიციატივით შექმნილ ერთ-ერთ ასეთ ბრიგადაში შეივდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წარმომადგენლები. მათ შეიმუშავეს ინერტული გაზებით თხევადი ლითონის დამუშავების დიდეფექტიანი ტექნოლოგია. იგი ეკონომიურად დიდად ეფექტიანი აღმოჩნდა და დაინერგა არა მარტო რუსთავის, არამედ ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა დიდ მეტალურგიულ ქარხნებშიც. ამ ტექნოლოგიით მრავალი საზღვარგარეთული ქვეყანა დაინტერესდა, კერძოდ ლიცენზია შეისყიდა დასავლეთ გერმანიის „კრუპის“ ფირმამ. ამ მეთოდის პოპულარიზაციისათვის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების, ინიციატივით შეიქმნა სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „დაჩარება“.

დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო მუშაობაში სტუდენტების ჩაბმას. ეს ორმხრივ სასარგებლო საქმეა მომავალი სპეციალისტებისთვისაც და სამეცნიერო მიზნების განსახორციელებლადაც. საკითხების მეცნიერულად დამუშავებაში სტუდენტების მონაწილეობა და მიღებული შედეგების დანერგვა წარმოების ინტენსიფიკაციის კიდევ ერთი რეზერვია. ამ ხუთიოდე წლის წინათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის კათედრასთან რამდენიმე ენთუზიასტმა სტუდენტმა საფუძველი ჩაუყარა ბატარა სამეცნიერო წრეს, რომელსაც ავთანდილ ბოიარგობანი — კათედრის უფროსი მასწავლებელი ჩაუდგა სათავეში. ეს პატარა ჯგუფი მალე სტუდენტურ სამეცნიერო-კვლევით წრედ გადაიქცა. სტუდენტებს ჰქონდათ ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, იძენდნენ სათანადო ლიტერატურას, აწყობდნენ სემინარებს. ერთი წლის შემდეგ ისინი მზად იყვნენ შესდგომოდნენ დამოუკიდებელ სახიერ ექსპერიმენტულ საქმიანობას. ჩანაფიქრს პრაქტიკული ხორცშესხმა სჭირდებოდა. სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და „საქმთავარენერგოს“ ხელმძღვანელობის დახმარებით და მხარდაჭერით სტუდენტური წრის საინტერესო წინადადებები ენერგოსისტემის სამრეწველო-სარემონტო საწარმოსა და თბილისის თბოელექტროცენტრალის ლაბორატორიებში დაინერგა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ შარშანდელი წლის მონაცემებით სამეცნიერო წრემ ერთი საკავშირო კონკურსის, ხოლო მეორე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედალი მიიღო. შარშანდელი წლის ნამუშევრების დანერგვით მიღებულმა ეფექტმა 72 ათას მანეთს გადააჭარბა.

როგორც ცნობილია სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემის დიდმნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ორგანიზაციის როლის გაძლიერების შესახებ“ 1983 წელს მიღებული დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გარდაქმნა მუშაობა. ჯეროვნად ვერ ინერგება მუშაობის ახალი ფორმები. სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პირველადმა ორგანიზაციებმა ვერა და ვერ აღმოფხვრეს ბიუროკრატიზმი, ვერ ნახეს ახალ იდეებსა და პროექტებს, რის გამოც სერიოზულად და სამართლიანად გააკრიტიკეს სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობაზე.

აღინიშნა, რომ საზოგადოებები ხელს ჰკიდებდნენ ერთობ ფართო წრის პრობლემებს, ამასთან არ განსაზღვრავდნენ მათი გადაჭრის კონკრეტულ ხერხებს. ფენი მოიკიდა მანკიერმა ტენდენციამ, როდესაც სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ორგანიზაციები თვითონ იჩემებდნენ ყოველივეს, რაც შრომითს კოლექტივებში კეთდებოდა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დასანერგად.

საჭიროა არა მარტო ყოველმხრივ გავზარდოთ საზოგადოების მუშაობის ტრადიციული მეთოდების ეფექტიანობა, არამედ აგრეთვე თამამად ვეძიოთ მუშაობის ახალი ფორმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ სამეცნიერო-ტექნიკიურ საზოგადოებათა პოტენციალი.

საზოგადოების მუშაობის გარდაქმნა, წარმოებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერების მიზნით სრულიად აუცილებელია. ამიტომ, სწორედ გარდამავლის პოზიციებიდან, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს გარკვეული ამოცანა აკისრიათ იმ კომპლექსური პროგრამის ერთი ნაწილის რეალიზაციაში, რომელსაც ეწოდება „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი-90“.

ამასთან დაკავშირებით შემუშავებულია საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს და ტექნიკის სახლების ძირითად ღონისძიებათა გეგმა.

პროგრამაში დაკონკრეტებულია ძირითადი მიზნები და ამოცანები, რომლებიც საქართველოში უნდა დადაწყდეს მეთორმეტე ხუთწლედის დამლევამდე.

სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებანი მოწოდებული არიან განსაზღვრონ თავიანთი ადგილი ამ დიდნიშვნელოვან საქმეში, შეიმუშაონ თავიანთი სხვადასხვა რგოლის საქმიანობის ფორმები და მეთოდები, წარმართონ იგი დასახული მიმართულებით, პროპაგანდა გაუწიონ კომპლექსურ პროგრამას იმ ვარაუდით,

საბჭოები: საჯაროობიდან მოქმედებისაკენ

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა მეორე რესპუბლიკური კრება

ერთიანული ბიულეტენი

გარდაქმნისათვის გამიზნული პარტიის კურსის განხორციელებაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოქმედების კონკრეტული პროგრამა განსაზღვრა; ყველა საფეხურის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა რესპუბლიკურმა კრებამ, რომელიც 6 ოქტომბერს გაიმართა თბილისში. მან განიხილა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მოთხოვნათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში საბჭოების როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდის გზები.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. გ. გილაშვილმა.

ყველაფრისათვის ვაგებთ პასუხს

საბჭოებს შეუძლიათ გახდნენ და კიდეც უნდა გახდნენ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მასების დარაზმვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი რგოლი, — ასე გამოიკვეთა პარტიის XXVII ყრილობაზე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლი და მნიშვნელობა გარდაქმნის პროცესში.

ყრილობის მუშაობის დამთავრებიდან სულ ხუთიოდე თვეში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისს დადგენილებამ „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“. ყველაფერი კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ პარტიული და სახელმწიფო მზრუნველობა ადგილობრივ საბჭოს არასდროს არ აკლდათ, მათი ნაყოფიერი საქმიანობისათვის შექმნილი იყო სათანადო პირობები.

თუ კი რამ კარგი კეთდებოდა საბჭოების მიერ, ყველაფერი დაწვრილებით ქვეყნდებოდა პრესაში და ზოგჯერ წამატებულ-შელამაზებულიც კი, ხოლო ის, რაც ცუდად კეთდებოდა, შუქდებოდა გაკვრით და მორიდებულად. მაგრამ „დიდ მიღწევათა და ცალკეულ ნაკლოვანებათა“ დრონი უკვე წავიდნენ. გარდაქმნისა და ახლებურად აზროვნების პირობებში ცხადი ხდება, რომ სინამდვილეში გაქონდა მხოლოდ ცალკეული მიღწევები და მრავალი ნაკლოვანებები. ნაკლოვანებათა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ფეხმოკიდებული ფორმალიზმი, სხვისი მოიმედეობის განწყობილება, პასუხისმგებლობისათვის თავის არიდება, საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტის სურვილის უქონლობა. ეს ნაკლოვანებები მეტ-ნაკლებად შეინიშნება რესპუბლიკის ყველა საბჭოს მუშაობაში, სასოფლო იქნება ეს თუ უმაღლესი საბჭო.

საბჭოების მუშაობის ხარვეზებზე ყურადღების გამახვილება არ ნიშნავს მათი ნაყოფიერი საქმიანობის უარყოფას. მიზანი ერთია: ღრმად შევიგნოთ ჩვენი ნაკლოვანებები და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის მასშტაბი, კონკრეტული საქმეებით გამოვსწოროთ შექმნილი მდგომარეობა; თუ ღრმად ჩავიხედავთ მის ვითარებაში, თვალს გავუსწორებთ სინამდვილეს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგჯერ ვხედავთ მხოლოდ იმას, რის დანახვაც გვსურს და ხშირად არ ვამჩნევთ იმას, რაც გულსწყრომას და განგაშს უნდა იწვევდეს, კერძოდ შეშფოთებას იწვევს წარმოების ზრდის ტემპის შენელებისა და ცალკეული ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესების ტენდენცია მთელ რიგ დარგებში. რესპუბლიკა საგრძნობლად ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით წარმოების მატების საშუალო-საკავშირო დონეს. უპასუხისმგებლობის, ეკონომიკური მუშაობის, საგეგმო და საშემცირებლო დისციპლინის დაბალი დონის, ფფლანგველობისა და უყაირათობის გამო მძიმე ფინანსურ პირობებში მოექცა სახალხო მეურნეობის ზოგიერთი დარგი, რომელთა ცუდი მუშაობა ბიუჯეტის სახსრებით იფარება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივლისის პლენუმზე საქმის მდგომაოეობის განხილვისას აღინიშნა, რომ ყოველივე ეს საბჭოებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს და ავალებს იმოქმედონ უფრო ენერგიულად, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ ვლინდება უარყოფითი ტენდენციები, რომლებიც დაკავშირებულია კადრების სუსტ პასუხისმგებლობასთან, შრომის, საწარმოო და საგეგმო დისციპლინის დაბალ დონესთან.

ასეთ ვითარებაში მკვეთრად უნდა იზრდებოდეს საბჭოების როლი და ძლიერდებოდეს მათი პასუხისმგებლობა თავიანთი ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. ისინი უნდა გახდნენ მათი ნამდვილი ბატონ-პატრონნი. სახალხო დეპუტატთა საბჭოები მოვალენი არიან უფრო სრულად ახორციელებდნენ თავიანთ ფუნქციებს, ახსოვდეთ, რომ თუნდაც უმნიშვნელო პრაქტიკული საქმეები ათასჯერ მეტად ფასობს, ვიდრე ზოგადი მსჯელობა გარდაქმნის მნიშვნელობაზე, თუ გარდაქმნა არ მიგვიყვანს მთავართან — ადამიანთა კეთილდღეობის დონის ძირეულ ამაღლებასთან, მაშინ ფუჭად გვიხარჯია დრო და ენერგია.

უკანასკნელ ხანს საბჭოებმა მიიღეს მშრომელთა პოლიტიკური და შემოქმედებითი გააქტიურების, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების დამატებითი ბერკეტები, რომლებიც საშუალებას აძლევენ უფრო სრულად განახორციელონ მათთვის მინიჭებული უფლებები. მაგრამ, მიუხედავად უაღრესად ხელსაყრელი პირობებისა, ადგილობრივი საბჭოების მრავალმხრივი საქმიანობის ეფექტიანობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

როდესაც დღევანდელი მოთხოვნების თვალსაზრისით შეაფასა მათი საქმიანობა, მომხსენებელმა გამოიტანა დასკვნა, რომ მუშაობის გარდაქმნა ყოველ საბჭოს ესაჭიროება. წარმოადგენენ რა თავიანთ ტერიტორიაზე ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს და სარგებლობენ ერთნაირი უფლებებით, ყველა მათგანი ერთნაირი პასუხისმგებლობით და მთლიანად როდი იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა წულუკიძის რაიონსაბჭოს აღმასკომის მუშაობა. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ მისი საქმისადმი დამოკიდებულება არ შეესაბამება გარდაქმნის მოთხოვნებს. აღმასკომის ხელმძღვანელობა შემრიგებლურად ეკიდება ნაკლოვანებებს, არ იჩენს ინიციატივასა და სიმტკიცეს არსებული პრობლემების გადაჭრაში. პარტიის რაიკომმა ვერ შეძლო სათანადოდ წარემართა საბჭოების საქმიანობა.

სამწუხაროდ, ბევრი სხვა სახალხო დეპუტატთა საბჭოც მოქმედებს ინერციით, უწყენარი ცხოვრებით ცხოვრობს. არ იგრძნობა მათს საქმიანობაში სიახლეთა შეტანის სურვილი, მისი გარდაქმნის წადილი.

სკკპ XXVII ყრილობაზე განისაზღვრა რა საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის გამიზნული შემდგომი გზები, აღინიშნა რომ ისინი არ მოგვცემენ საჭირო შედეგს, თუ არ განმტკიცდა დეპუტატთა ინიციატივით. ზოგიერთი სიახლე უკვე ინერგება საბჭოების მუშაობაში, და მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ სრულყოფასა და დახვეწას საჭიროებენ, უკვე გარკვეული, შესამჩნევი სარგებლობა მოაქვთ. მაგალითად, მთელ რიგ რაიონებში უკვე ჩატარდა და წლის ბოლომდე კი ყველგან მოეწყობა ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატთა კრებები ან ყრილობები. აქ ხალხის რჩეულები შეიჰსწავლიან მთლიანად რაიონის ამოცანებს, განსაზღვრავენ მათ შესრულებაში თავიანთ ადგილს, გაეცნობიან აღმასკომისა და მის გაყოფილებათა სტრუქტურას და დებულებას, დეპუტატები შეხვდებიან აგრეთვე რაიონის წარმყვანი სამსახურების ხელმძღვანელებს. ყველაფერი ეს დაეხმარება მათ სადეპუტატო საქმიანობის უკეთ ორგანიზაციის საქმეში.

ბევრი რამ გადასახედია საბჭოების სასეხო საქმიანობაში. პირველ რიგში, უთუოდ უნდა აღმოიფხვრას მეტისმეტი ორგანიზებულობა და პარადულობა მათ მოწყობაში. სესიაზე გამოტანილი საკითხების ყოველმხრივ და თავისუფლად განხილვის მიზნით უნდა შემოვიღოთ ეგრეთწოდებული ალტერნატიული წესი, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა აზრის გამოთქმა, განსხვავებული პროექტების წარმოდგენა და სესიის მონაწილეებს მიეცემათ საშუალება ერთ-ერთის, უფრო მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღებისა.

ფართოდ უნდა დამკვიდრდეს სესიების მუშაობაში საჯაროობა. იგი უნდა გამოიხატებოდეს იმით, რომ ყოველ მომდევნო დეპუტატთა ფორუმს უნდა ხსენდებოდეს წინა სესიაზე მიღებულ დაგაწყვეტილებათა შესრულების მდგომარეობა.

არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის, საბჭოს ხელმძღვანელ მუშაკთა არჩევა — დამტკიცება უნდა ხდებოდეს ღია თუ დახურული კენჭის ყრით. ეს მთლიანად დეპუტატთა ნებასურვილზეა დამოკიდებული და მხოლოდ მათ შეუძლიათ მიიღონ ამის შესახებ გადაწყვეტილება. მოხდება არჩევნები ღია თუ ფარული კენჭის ყრით, ეს არაა მთავარი. აუცილებელია, რომ წინასწარ, სესიამდე დეპუტატებს ეცნობოს იმ პირთა გვარები და ბიოგრაფიული მონაცემები, რომლებსაც ამა თუ იმ თანამდებობაზე ეწევათ რეკომენდაცია, როგორ გაკეთებენ ამას, ეს თვით საბჭოს აღმასკომზეა დამოკიდებული. წინათ ვინც უნდა შემოეთავაზებინათ, ყველას ხელს ვუწერდით, თუმცა ხშირად ამხანაგებს ნაკლებად ვიცნობდით. სამწუხაროდ, ძალა ინერციისა და ჩვეულებისა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ წლევანდელი პირველი სესიები ბევრგან ძველებურად უსიცოცხლოდ და უინტერესოდ ჩატარდა, მათ შორის თბილისის საქალაქო საბჭოს სესიაც.

არა მარტო პირველი, არამედ საბჭოს ყოველი მორიგი სესია უნდა ტარდებოდეს ფართო დემოკრატიზმის ვითარებაში — მის მუშაობაში უნდა მონაწილეობდნენ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამომრჩეველთა წარმომადგენლები. საერთოდ, სესიისა და აღმასკომის სხდომაზე განსახილველი მისაღები საკითხები, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც მოსახლეობის ინტერესებთანაა დაკავშირებული, როგორც წესი, წინასწარ უნდა იხილებოდეს მათ მიერ. დადგენილებათა პროექტების თაობაზე ცნობები შეიძლება გადაიცეს რადიოთი, გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში, გაეცნოს მოსახლეობას აღმასკომის აპარატის მუშაკთა მეშვეობით.

ყურადღებას იმსახურებს სესიების მუშაობაში მუდმივი კომისიების წევრთა აქტიურად ჩართვის საკითხიც. ხდება ეს ასე: ძირითად საკითხზე მოხსენების შემდეგ ცხადდება შესვენება, რომლის დროსაც მუდმივი კომისიების წევრები მსჯელობენ და შემდგომ განხილვის შედეგებს მოახსენებენ სესიის მონაწილეებს.

მუდმივი კომისიების როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდისათვის მათ სხდომებზე ანგარიშით უნდა გამოდიოდნენ საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა ხელმძღვანელები. მაგრამ ეს თითქმის არსად არ კეთდება. სასურველი იქნებოდა, რომ ამ პირთა თანამდებობაზე დანიშვნისას კითხულობდნენ სათანადო მუდმივი კომისიის აზრსაც, მათ თავმჯდომრეებს კი ეძლეოდეთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ აღმასკომების სხდომების მუშაობაში. ამის მაგალითს უნდა ძლიერდნენ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმები.

გარდაქმნის პირობებში საჭირო გადაჭრით გავემიჯნოთ შტამპებსა და სტერეოტიპებს, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა. საიდუმლო არ არის, რომ ხშირად სესიები ტარდება ფორმალურად, უღიმღამოდ. ისინი მოგვაგონებენ გამოუცდელი რეჟისორის მიერ დადგმულ ცუდ სპექტაკლს ძალად მსახიობების მონაწილეობით. სესიებს, როგორც წესი, ამზადებს აღმასკომის აპარატი. იქვე იწერება მოხსენება და დადგენილების პროექტი, დგება კამათის მონაწილეთა სია, ადგენენ, თუ ვინ და რა საკითხს შემოიტანს სესიაზე შეკითხვის წესით და ა. შ. დეპუტატები კი ადგენ სესიებს მხოლოდ ესწრებიან, უსმენენ და ავტომატურად აძლევენ ხმას.

მოხსენების ირგვლივ გამართულ მსჯელობას ჩვეულებრივ კამათს არქმევენ, თორემ რის კამათი, რა კამათი. კაბინეტის სიმყოფლოდგეში დაწერილი მოხსენებები თუ ანგარიშები დამსწრეებში არავითარ ემოციებს არ იწვევს, ვერც პასუხისმგებლობის გრძნობას აღვივებს.

ფორმალიზმი სჭარბობს დეპუტატთა ფორმირებებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობაშიც, მათ შორის საბჭოების მუდმივ კომისიებში, უმაღლესი საბჭოს კომისიების ჩათვლით.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები, მათი მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები თუ საგუშაგოები მხოლოდ მაშინ შეძლებენ გაამართლონ თავიანთი დანიშნულება, როდესაც ისინი სავსებით განთავისუფლდებიან ფორმალიზმისა და ზედმეტი ორგანიზებულობისაგან. საბჭოები მაშინ გაამართლებენ თავის მოწოდებას, როდესაც დემოკრატიული ფორმების და მეთოდების გამოყენებით შეძლებენ ჩვენი ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში რეალური შედეგების მიღწევას.

ჯერ კიდევ ყველამ ვერ შეიგნო, რაოდენ დამღუპველია ფორმალიზმი. იგი ხალხს რწმენას უკარგავს, ჩვენი სინამდვილისადმი უნდობლობას იწვევს; ზოგ-ზოგში ეჭვს იწვევს, რომ საჭიროა იყოს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, მათ გულისთვის დროისა და ენერგიის ხარჯვა. მუშაობაში ფორმალიზმი და მოჩვენებითობა არც ისე უვნებელი მოვლენებია. მაგრამ მცდარი იქნებოდა ვვეფიქრა, თითქოს ეს მოვლენები მარტო ადგილობრივ საბჭოებს ახასიათებდეს. იგი ზემდგომი ორგანოების საქმიანობაშიც იგრძნობა. ბევრის მიღწევა შეიძლება თუ დავძლევთ უძრაობის ამ მოვლენებს, საბჭოები, დეპუტატები და მათი ფორმირებები, სრულად გამოიყენებენ მინიჭებულ უფლებებს, რომლებიც სისტემატურად ფართოვდება და სრულყოფილი ხდება. მაგალითად, საბჭოს აქვთ საკმაო ორგანიზაციული და სამართლებრივი შესაძლებლობები დარგთშორისი გამიჯვნის აღსაკვეთად, რომელიც დამახასიათებელია ზემდგომი ორგანოებისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და საერთაინებებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის დადგენილებამ და კვალდაკვალ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ეს შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გააფართოოვა. ახლა ყველაფერი მათ გამოყენებაზეა დამოკიდებული. საბჭოებს ახლა უფლებები ბევრად გაეზარდათ, და მათ შორის ყველაზე მთავარი — მოქმედების უფლება.

ეს სავსებით ეხება სასოფლო და სადაბო საბჭოებს, ისინი ყველაზე ახლო დგანან მოსახლეობასთან და მათი საქმიანობისაგან ბევრადაა დამოკიდებული ადგილობრივი ხელისუფლების ავტორიტეტი, მაგრამ მათ მუშაობას კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება, იგი ჯერ შორსაა თანამედროვე მოთხოვნებისაგან.

ყველა ზემდგომმა საბჭოთა ორგანომ — საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, მინისტრთა საბჭოებმა, საბრჭეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მკვეთრად უნდა გაიუმჯობესონ ხელმძღვანელობა სასოფლო და სადაბო საბჭოებისადმი.

შეუძლებელია გარდაქმნის მიღწევა საბჭოების მუშაობაში, თუ იგი არ მოხდება მის ძირეულ რგოლებში — სოფლის საბჭოებში. ამიტომ საჭიროა, მნიშვნელოვნად გაძლიერდეს აურადღება მათი საქმიანობისადმი, მეტი ზრუნვა გამოვიჩინოთ მათდამი, აღმოვუჩინოთ ყოველდღიური დახმარება. სასოფლო საბჭოების სათავეში უნდა იდგნენ ავტორიტეტიანი პიროვნებები, რომელთაც შესწევთ უნარი თავიანთი მაგალითით დარაზმონ მშრომელები, უჩვენონ შემოქმედებითი, ინიციატივიანი მუშაობის მაგალითი. დროა, სასოფლო საბჭოებს მეტი უფლებები მივანიჭოთ. საბჭოები არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამეურნეო ორგანოებიც უნდა იყვნენ. უამისოდ თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების იდეა განუხორციელებელი დარჩება.

სასოფლო საბჭოების მისამართით გამოითქვა სამართლიანი კრიტიკაც. ისინი ყოველთვის ვერ ახერხებენ წინააღდგენ დარღვევებს, სათანადო შეფასებას ვერ აძლევენ აშკარა ნეგატიურ მოვლენებს.

ძნელად ასახსნელია სხვა რამეც. სოფლად მრავალი კულტურის კერა სავალალო მდგომარეობაშია, ხოლო ზოგან საერთოდ მარტივი ტიპის სპორტული მოედნებიც კი არ გაიჩნიან. შემდეგ ჩვენან: ახალგაზრდობა სოფლიდან მიდისო, მაგრამ განა საბჭოებს არ ძალუძთ აღმოფხვრან შეუსაბამობა სოფლის სოციალურ განვითარებაში, დარაზმონ ახალგაზრდობა ამ კეთილშობილური საქმისათვის? მაგრამ ზოგჯერ მას მეტისმეტად იცავენ „ზედმეტი“ დატვირთვისგან.

ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ თანახმად სსრ კავშირის კონსტიტუციისა, შრომა არა მარტო უფლებაა, არამედ მოვალეობაც, მაშინ როდესაც განათლება — მხოლოდ უფლებაა.

სახალხო დეპუტატების საბჭოებს უამრავი საშუშაო აქვთ. მაგალითად, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სალაროს, შემოსავლის გეგმების შესრულება ძალიან მძიმე და საგანგაშო მდგომარეობაშია, მაგრამ მისდამი დამოკიდებულება მათ ხელმძღვანელს მაინც ცოდვამინც კი აშფოთებს. მათ წუხილს არ იწვევს არსებული ზენორმატიული ნაშთები, ჩაწოლილი საქონელი, დიდი გადაუხდელი თანხები და ა. შ. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში ჩვეულებრივ საქმედ იქცა ხელფასების დაგვიანებით გაცემა, ზოგან კი თვეობით გაუცემელია, და ამას ადგილობრივი ხელისუფლება გულგრილად უყურებს.

არ შეიძლება შეეფარიგდეთ როცა საგულდაგულოდ ნაშენ-მოწყობილი ადმინისტრაციული დანიშნულების შენობებისა და კაბინეტების გვერდით განლაგებულია მოუწყობელი, სავალალო მდგომარეობაში მყოფი ამბულატორია, საავადმყოფო, სბავშვო ბაღი და სოციალური დანიშნულების სხვა ობიექტები. ასეთ შეუსაბამობას ჩვეულებრივ ხსნიან ამ ობიექტების სხვადასხვა უწყებებისადმი დაქვემდებარებით. მაგრამ როგორ ავუხსნათ ეს ხალხს? ადამიანებს ხომ არ შეუძლიათ იცოდნენ მმართველობითი ურთიერთობის ყველა ნიუანსი. მაგრამ მათ კარგად იციან ერთი რამ: ისინი ცხოვრობენ ერთ, სოციალისტურ საზოგადოებაში და ამიტომ წესრიგიც და სამართლიანობაც ჭეშმარიტად სოციალისტური უნდა იყოს.

დღეს, როდესაც ჩვენი საზოგადოება გარდაქმნის „გადამწყვეტ ეტაპს“ იწყებს, როცა საჭიროა ინიციატივა, დამოუკიდებლობა, დიდი პასუხისმგებლობა მეურნეობრობის ახალი მეთოდების დანერგვისათვის, ყოველივე ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ყველას უკლებლივ გვეხება, მიუხედავად იმისა, თუ რა პოსტი გვიკავია და საზოგადოების რომელ სფეროში ვმოღვაწეობთ.

დასასრულ პ. გ. გილაშვილმა მოიყვანა სიტყვები, რომლებიც მურმანსკში გამოსვლისას თქვა მ. ს. გორბაჩოვმა: „ყოველივე, რაც დასახულია, შეიძლება მხოლოდ ჩვენი გარჯით განხორციელდეს. არავითარი სასწაული არ მოხდება და მისი იმედი არც უნდა გვქონდეს. ჩვენი ცხოვრების განახლება, რაც ყოველი ჩვენგანის ღვიძლი საქმეა, ჩვენ თვითონვე უნდა მოვახდინოთ“.

გამოცდილება, პრობლემები, მოსაზრებანი

კრების მონაწილეთა გამოსვლებიდან

დ. დ. დიასამიძე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე:

— სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა გაცილებით მეტი უფლებები მიიღეს, მხოლოდ საკადრო პოლიტიკაში ისინი შეზღუდულები არიან. ზოგჯერ ზემდგომი ორგანოები ისე ნიშნავენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომ თავიანთ აზრს არ ეკითხებიან დეპუტატებს. ადგილობრივი საბჭოების სესიაზე ხელმძღვანელ მუშაკთა დამტკიცება ფორმალური ხასიათისაა. ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს უნდა ჰქონდეთ კადრების მეტი ნომენკლატურა, რეალურად იყენებდნენ უფლებას, რომ დანიშნონ და გათავისუფლონ მათდამი დაქვემდებარებული საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები. ეს გაზრდის კადრების პასუხისმგებლობას საბჭოების წინაშე, რაც ახლა ნაკლებად საგრძნობია. საერთოდ კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის მუშაობაში მეტი საჭიროობა უნდა იყოს. დეპუტატებისა და არჩევითი ორგანოების ხელმძღვანელთა არჩევა უნდა ხდებოდეს ფართო დემოკრატიის საფუძველზე. მაშინ ხელმძღვანელები ნამდვილად ანგარიშვალდებული იქნებიან ხალხის, ამომრჩეველთა წინაშე.

ა. ვ. ბუჯაბიძე, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე:

— რაიონული საბჭოს აღმასკომი განსაკუთრებულ აურადღებას უთმობს იმ პროგრამის რეალიზაციას, რომლის მიზანია თითეული ოჯახი 2000 წლამდე უზრუნველყოს ცალკე ბინით. რაისაბჭოს მეორე სესიაზე დავსახეთ საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ სამეურნეო წესით საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ღონისძიებათა კომპლექსი. ეს საშუალებას მოგვცემს დავაჩქაროთ რაიონში საბინაო პრობლემის გადაჭრა. განზრახულია გვაქვს ავრეთვე ფართოდ გამოვიყენოთ ისეთი რეზერვი, როგორიც არის არსებულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ სახლებზე მიშენება. ამ გზით 11 ათასი კერძო სახლის ბინადართა ითქმის მესამედი შეძლებს გაიუმჯობესოს საბინაო პირობები.

ბინების განაწილება მეტად პასუხსაგები საქმეა. აქ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის უტყუარი საშუალებაა საჯაროობა. ამისათვის ჩვენთან უკვე ზოგი რამ გაკეთდა: მოწყობილი გვაქვს სპეციალური სტენდები, სადაც ეკიდნენ სრულ ინფორმაციას აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა და მათთვის საცხოვრებელი ფართობის მიცემის შესახებ, დაბეჭდეთ ცნობები გამოყოფილი საბინაო ფონდის შესახებ და გამოვაკრიათ ისინი რაიონის ყველა ორგანიზაციასა და მიკროსაბჭოში.

ი. ტ. კვიწინია, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი:

— კარგად დაყენებული კონტროლი სახალხო დეპუტატთა საბჭოს ავტორიტეტისა და გავლენის გადიდების ქმედითი საშუალებაა. მაგალითად, ქალაქ სოხუმსა და გულრიფშის რაიონში შეიქმნა და სულ უფრო მეტად მკვიდრდება ყოველდღიური სადეპუტატო კონტროლის სისტემა. მის აქტივში არის სახალხო კონტროლიორებთან ურთიერთმოქმედება გამოვლენი და აღმოფხვრილი დარღვევები და ხარვეზები კომუნალური მეურნეობისა და ვაჭრობის ობიექტებში. ამავე დროს კონტროლის მოწყობაში ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოებში ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია. ამას მოწმობს ამას წინათ გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაც, რომელშიც აფხაზეთი იმათ შორისაა, სადაც დარღვეულია ბინების განაწილების წესი. არ შეგვიძლია ამ დარღვევებისათვის ბრალი მოვახსნათ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსაც. ჩვენ ცუდად ვუწევდით კონტროლს საბინაო კანონმდებლობის შესრულებას და აქედან ყველაზე სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

ა. ზ. ღოლიჯაშვილი, გორის რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:

— საბჭოების პასუხისმგებლობა გაიზარდა, ხოლო მათი ფაქტობრივი უფლებები საკმაოდ შეზღუდულია, ეს განსაკუთრებით შეინიშნება კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. ისინი უნდა ინიშნებოდნენ საბჭოების, დეპუტატების უშუალო რეკომენდაციით, მოსახლეობის ფართო ფენების მიერ კანდიდატურების განხილვის შედეგად, თუ გნებავთ, არჩევითობის პრინციპით. საბჭო ვალდებულია საბიუჯეტო ორგანიზაციები მოამზადოს სათბობით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, დაეხმაროს მასწავლებლებს, ექიმებს, პენსიონერებს, ომისა და შრომის ინვალიდებს, მარტოხელა დედებს, მოხუცებს ბინების შეკეთებაში, საკრძალდამ ნაკვეთების დამუშავებაში, კომუნალური და სხვა საკითხების მოწესრიგებაში. მაგრამ რესურსებისა და ტრანსპორტის გამკარგულებლები არიან სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებსაც ყოველთვის აქვთ იმის მიზეზი, რომ უარი უთხრან საბჭოებს. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, დადგა დრო შეიქმნას საბჭოებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მომსახურებისათვის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზა.

ა. ნ. ზუბკოვა, ბოგდანოვკის რაიონის გორელოვკის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე:

— ვინც ზამთარში ყოფილა ჩვენს მხარეში, იცის, რას წარმოადგენს წლის ამ დროს ჩვენი გზები. ნამქერისა და ჩამოქცევების გამო ჩერდება მოძრაობა. არის შემთხვევები, როცა ფერმიდან შეუძლებელია რძის ქარხნამდე რძის მიტანა: ამაზე ოთხი წლის წინათ ვილაპარაკე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა პირველ რესპუბლიკურ კრებაზე. და რა გამოვიდა? ჩვენი ცენტრალური გზა გაუარესდა. ახლა მასზე ძნელია გავლა დაუშავებლად ყველაზე კომფორტული ავტომობილითაც კი. მართალია, ამას წინათ მაინც მივაღწიეთ ჩვენთან რაიონში საგზაო-სამშენებლო უბნის შექმნას. მაგრამ ეს არ კმარა. რაიონს, სადაც ოთხი-ხუთი თვის განმავლობაში მძვინვარებს ზამთარი, რასაც თან ახლავს ქარბუქი და მეწყერი, სჭირდება მძლავრი თოვლსაწმენდი ტექნიკა. და ჩვენ ვთხოვთ საავტომობილო გზების სამინისტროს დროულად იზრუნოს ამისათვის.

ჩვენში უაღრესად არადამაკმაყოფილებელია ვაჭრობის მდგომარეობაც. ხშირია შეფერხებანი პირველი საჭიროების პროდუქტებით მომარაგებაში, მოუმარჯვებელია შენობები, რომლებშიც განლაგებულია სოფლის მაღაზიები, არც ერთი მათგანი ზამთარში არ თბება. ეს საკითხი არაერთგზის განხილულა ჩვენთან ადგილებზე და დაგვიყენებია ცეკავშირის გამგეობის წინაშე, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი უცვლელად რჩება.

ე. ბ. მარგიევი, ლენინგორის რაიონის ზაბრის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე:

— სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა პირველი რესპუბლიკურ კრებაზე აღინიშნა, რომ დროა ბოლო მოეღოს ისეთ არანორმალურ მდგომარეობას, როცა სასოფლო საბჭოების აღმასკომები ასრულებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამამზადებელთა როლს. სწორად ითქვა, რომ განვლილი ოთხი წლის განმავლობაში თითქმის არაფერი არ შეცვლილა. ჩვენგან კვლავინდებურად მოითხოვენ დამზადების გეგმების შესრულებას, თუმცა მეურნეობებს დამამზადებელთა სპეციალური შტატები ჰყავთ.

კიდევ ერთი საკითხი. განათლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკებისათვის ხელფასის მიცემა დავალებული აქვთ სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, ხოლო ინვენტარის შეძენისა და კაპიტალური რემონტისათვის საბსრები რაიაღმასკომებს განკარგულებაშია. რაღა ბატონ-პატრონები ვართ, თუ არ შეგვიძლია ჩვენი შეხედულებისამებრ გამოვიყენოთ ეს ფული? ჩვენზე უკეთ ვინ იცის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საჭიროებანი? ამ საქმეში აუარადღებით უნდა გავერკვეთ.

ბ. ხ. აბზიანიძე, საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი:

— თავიანთი მოვალეობის შესრულებაში კომუნისტ დეპუტატთა პასუხისმგებლობის ერთგვარი გადიდების მიუხედავად შემდგომ სრულყოფასა და დაკონკრეტებას მოითხოვს დეპუტატთა პარტიული ჯგუფების საქმიანობა, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება საკადრო საკითხების წინასწარი განხილვითა და სესიის დ

საბჭოები: საჯაროობიდან მოქმედებისაკენ

(დასასრული)

არ არის კრიმინალური და, როგორც წესი, ჩადენილია უკანონოდ შენახული ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გამოყენებით. სამწუხაროდ, არც სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები, არც მილიციის უბნის ინსპექტორები, არც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელები ღრმად არ წვდებიან კონფლიქტურ სიტუაციებს, ძირშივე არ აღკვეთავენ მათ. ხშირად თითქოს ელემენტარული საკითხების — მიწის, ბინების გაყოფისა და სხვა საკითხების გადაწყვეტა გაურკვეველი დროით ჭიანურდება. ადამიანები ელიან დახმარებას კანონისაგან, სახალხო ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. ისინი კი ადგებიან გარეშე მეთვალყურეების პოზიციას, არ იყენებენ თავიანთი ავტორიტეტის ძალას კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შესარიგებლად. დიდია ადგილობრივი საბჭოების როლი ლოთობის, ნარკომანიის, ხულიგნობის ამოძირკვაში. მიზანშეწონილი იქნებოდა აღორძინებულიყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პუნქტების საქმიანობა, გააქტიურებულიყო სახალხო რაზმელთა მუშაობა.

ა. ნ. იოანიდი, წალკის რაიონის სახალხო დეპუტატთა ბეშთაშენის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე:

— ჩვენი მშრომელების სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილება ახლად არჩეული სასოფლო საბჭოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. ვხელმძღვანელობთ რა ამომრჩეველთა განწესებით საბჭოთა მეურნეობების დირექციებთან და პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად ბევრი რამ გავაკეთეთ. კერძოდ, კაპიტალურად შეკეთდა საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა, ამუშავდა ამბონო, კეთილმოეწყო სოფლების ბეშთაშენისა და ქარიაქის ქუჩები, შეკეთებულია კლუბის შენობა სოფელ საფარ-ხარაბაში, ახალი სასწავლო წელი სკოლებში დაიწყო კარგად მომზადებულ შენობებში. მაგრამ გადასაჭრელი პრობლემები ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. მაგალითად, უაღრესად გვაწუხებს წყალსადენების მდგომარეობა, ახალგაზრდობის კულტურული დასვენების ორგანიზაცია. კვლავინდებურად მწვავედ დგას მოსახლეობის სამუშაოთი დასაქმების პრობლემა, განსაკუთრებით სეზონსშუა პერიოდში. ამასთან დაკავშირებით მინდა შევნიშნო, რომ ჩვენი რაიონის შესახებ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე მიღებულია რამდენიმე დადგენილება, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას. მაგრამ ზოგიერთი სამინისტრო და უწყება არ ასრულებს თავის ვალდებულებებს. კიდევ უფრო ნაწყენი ვრჩებით საკუთარ თავზე, რადგან ბევრი პრობლემა შეიძლებოდა საკუთარი ძალებით გადაგვეჭრა.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობა — გარდაქმნის მოთხოვნათა დონეზე

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

გარდაქმნამ პრაქტიკულად უკვე მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, თქვა მან. იგი სულ უფრო ღრმავდება, სისტემურ და მიზანდასახულ ხასიათს იძენს. ამასთან დაკავშირებით პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით ყველა სფეროსა საბჭოებს ესახებათ კონკრეტული ამოცანა — ძირეულად გაუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, ვინაიდან სწორედ მათი დახმარებით შევძლებთ ნამდვილი დემოკრატიზაციის მიღწევას.

საამისოდ საბჭოებს აქვთ კონკრეტული საპროგრამო დოკუმენტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სადირექტივო ორგანოებმა მიიღეს. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის ცნობილი დადგენილებანი სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ოლიალურ-კონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის მათი როლის ზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოების უფლება-მოვალეობები. მათ უნდა გადაწყვიტონ მრავალი საკითხი, რომლებიც უკავშირდება ადამიანების შრომას, ყოფას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სოციალურ სამართლიანობას. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია კარგად ვხედავდეთ ძირითად ორიენტირებს, არ მოვცდეთ მეორეხარისხოვან, არაარსებითს საკითხებზე. ფართოდ უნდა გავუღოთ კარი ცოცხალ, შემოქმედებითს მუშაობას, უნდა ვითვალისწინებდეთ საზოგადოებრივ აზრს, მშრომელთა სურვილებს, მათ წინადადებებსა და მოსაზრებებს. ერთი სიტყვით, ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ მუშაობის შედეგებს ხედავდეს ხალხი, გრძნობდეს და იწონებდეს მათ.

ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, თქვა შემდეგ ამბ. პატიაშვილმა, რომ ჯერჯერობით რესპუბლიკაში ძალზე დუნედ, ნელა გარდაქმნება საბჭოების, მათი ორგანოების საქმიანობა. გარდაქმნის ტემპში აშკარად ჩამორჩება დაჩარების მოთხოვნებს. ამაში კიდევ ერთხელ გვარწმუნებს გამოცვლება, რომელიც დღეგანდელი წლის კრების წინ მოწყოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელმა ცენტრმა. აი ამ გამოკვლევის ზოგიერთი მონაცემი: რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში გამოკითხულ მშრომელთა მხოლოდ 22,8 პროცენტს მიაჩნია, რომ საბჭოებსა გააუმჯობესეს მუშაობა; რაიონული საბჭოების შესახებ ასეთი აზრი გამოთქვა 23,4 პროცენტმა, სადაბო და სასოფლო საბჭოების შესახებ — 31,7 პროცენტმა. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, უკეთეს შემთხვევაში საბჭოების მუშაობა წინანდელ დონეზე დარჩა, მშრომელთა გაბრაზებული ნაწილის აზრით კი იგი გაუარესდა კიდეც.

ასეთი კრიტიკული შეფასება თუნდაც ჩაგვფიქრებს. მან არ ეიძლება არ შეგვაშფოთოს, ვინაიდან ახლანდელი საბჭოების არჩევნები ახალ, დემოკრატიულ პირობებში მოეწყო — ამომრჩევლები ორი-ს

ჟურნალისტი

საკავშირო იუწყება

12 ოქტომბერი

დააკავეს ბი-ბი-სის ჟურნალისტები

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

ქაბული. *როგორც ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, 9 ოქტომბერს დილის ცხრა საათზე ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მყოფმა ბი-ბი-სის თანამშრომელთა ჯგუფმა ტელერეპორტაჟის მომზადების მიზნით შეაღწია ქაბულის მიდამოებში მდებარე კარგის წყალსაცავის რაიონში, სამხედრო ზონაში, სადაც ისინი დააკავეს საკონტროლო-სამხედრო ორგანოებმა ავღანეთისა და საბჭოთა სამხედრო ობიექტების გადაღების მომენტში, რაზეც მათ არ ჰქონდათ შესაბამისი ნებართვა, იუწყება ბახთარის სააგენტო.*

ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი ბრიტანეთის საქმეთა დროებითი რწმუნებული გამოიძახეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მისი ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ ბი-ბი-სის ჟურნალისტებმა დაარღვიეს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შესაბამისი, უცხოელ ჟურნალისტთა საქმიანობის მარეგლამენტებელი დებულებანი, რაც ეწინააღმდეგება ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარებისათვის გამიზნულ ღონისძიებებს. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაგმო ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომელთა მოქმედება და სთხოვა მათ თავი შეიკავონ ასეთი მოქმედებისაგან, აღნიშნავს ბახთარი.

● კოლუმბია

ულტრამემარჯვენეთა დანაშაული

ბოგოტა. *კოლუმბიის დედაქალაქის გარეუბანში მოულეს კოლუმბიის მემარცხენე ძალების გაერთიანების — პატრიოტული კავშირის ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ცნობილი ადვოკატი, კომუნისტი ხაიმე პარდო ლეალი.*

დამნაშავეებმა სროლა აუტეხეს ხ. პარდო ლეალის ავტომობილს, რომლითაც იგი ოჯახობით შინ ბრუნდებოდა კვირაღამის დასვენების შემდეგ. ბოლო დროს ულტრამემარჯვენე წრეები არაერთგზის იმუქრებოდნენ, რომ ანგარიშს გაუსწორებდნენ მემარცხენე ძალების ლიდერს.

კოლუმბიის გენერალურმა პროკურორმა ადგილობრივი რადიოსადგურისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ პარდო ლეალის მკვლელობა მძიმე ლახვარს სცემს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს. კოლუმბიის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ვასკეს კარისოსამ აღნიშნა, რომ ტერორის კამპანია, ქვეყანა რომ მოიცვა, გააჩაღეს ულტრარეაქციულმა ძალებმა, რომლებიც ცდილობენ შეარყიონ მდგომარეობა კოლუმბიაში.

პატრიოტული კავშირის ეროვნული საკოორდინაციო კომიტეტის აქ გავრცელებულ განცხადებაში გულისწყრომით გმობენ რეაქციის ახალ დანაშაულს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი რეაქციული ძალების ტერორისტული საქმიანობის აღსაკვეთად.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ლონდონი.** *უცნობ პირთა ჯგუფმა ცეცხლი დაუშინა ინგლისის არმიის საოჯახოთვალო პუნქტს ბელფასტში, ჩრდილოეთ ირლანდიის ადმინისტრაციულ ცენტრში. ჯარისკაცებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს.* მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით ამჯერად მსხვერპლი არ ყოფილა. როგორც ვარაუდობენ, თავდასხმა მოაწყვეს ირლანდიის „დროებითი“ რესპუბლიკური არმიის იატაკქვეშა ორგანიზაციის მებრძოლებმა, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ ოლსტერიდან ინგლისის ჯარების გაყვანას შეიარაღებული ტერორის მეთოდებით.

◆ **დელი.** *კარაჩის — პაკისტანის უდიდესი ქალაქის საერთაშორისო აეროპორტის რაიონში კვირას კვლავ დაიწყეს კომენდანტის საათი.* აქ მიღებული ცნობების თანახმად, ეს ღონისძიება განახორციელეს აფეთქებების სერიისა და თვითა შორის შეტაკებების შემდეგ, რომელთა დროს სამი კაცი სერიოზულად დაშავდა. უშიშროების ძალებს უბრძანეს გაუფრთხილებლად ესროლონ უწესრიგობის წამომწყებებს.

ცნობისმოყვარეთათვის

ჰლანგატის შემემზი მცხოვრები

ნიუ-იორკი. *„ეს უკვე მეტისმეტია“, — განაცხადა უოლტერ ბადხონმა და დიეტაზე გადავიდა.* ექიმების დარიგების უსტად შესრულებამ საუცხოო შედეგი გამოიღო — სამ კვირაში მან წონაში „94 კილოგრამი დაიკლო. მიუხედავად ამისა, ახლა მემსტატედის (ნიუ-იორკის შტატი) 42 წლის მცხოვრები, როგორც ამტკიცებენ, კვლავ პლანეტის უმძიმეს ადამიანად რჩება. იგი 450 კილოგრამს იწონის, რაც 45 კილოგრამით აღემატება „გინესის წიგნში“ ოფიციალურად აღრიცხულ „მსოფლიო რეკორდს“.

პირველი წარმატებით აღფრთოვანებული ბადხონი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მომავალში 86 კილოგრამ წონას მიაღწიოს, მაინც ვერ ახერხებს კარში გატევას, რათა მრავალი წლის განმავლობაში პირველად გავიდეს ოთახიდან და სამედიცინო კლინიკაში მივიდეს — მისი წელის მოცულობა 2,6 მეტრია. სამი კვირის წინათ ოთახიდან გასვლას რომ შეეცადა, კარში გაეჩხირა და მის „დასახმარებლად“ ნათესავები იძულებული გახდნენ მაშველნი გამოეძახათ. აგერ უკვე 27 წელიწადია უოლტერი პრაქტიკულად არ დგება საწოლიდან და დროს ტელევიზორის ყურებაში და ჯაზური მუსიკის მოსმენაში კლავს.

გიგანტი კაცისათვის ზრუნვა უოლტერის ნათესავმა ბარბარამ იკისრა, რომელიც თვალს ადევნებს ბიძის მიერ მკაცრი დიეტის დაცვას.

ამინდი

დრო საშურია

ოქტომბერს *რომაელები წლის მერვე თვედ თვლიდნენ და სახელწოდებაც აქედან მოდის — ოქტო ხომ ლათინურად რვას ნიშნავს.*

ამ თვეში საქართველოში კვლავ გრძელდება ოქროს შემოდგომა, დღის ხანგრძლივობა კი კლებულობს. მრავალწლიური მონაცემებით, ჰაერის საშუალო ტემპერატურა (სექტემბერთან შედარებით) 3-7 გრადუსით დაბალია — დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 15-17, ქართლის ბარსა და კახეთში 11-15, რესპუბლიკის მთიან რაიონებში 9-14, მაღალმთიან რაიონებში კი 5-8 გრადუსამდე მერყეობს, თუმცა, ცალკეულ წლებში იგი მკვეთრად განსხვავდება მრავალწლიური მნიშვნელობისაგან.

ოქტომბერი ჩვენს რესპუბლიკაში მოსავლის აღება-დაბინავებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროა. იმაზე, თუ როგორ ამინდებს დაიჭერს, ბევრად არის დამოკიდებული საშემოდგომო სამუშაოების დროულად მომთავრება.

ახლა შუა ოქტომბერია. საქართველოს ჰიდრომეტცენტრის ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, თვის ბოლომდე ჰაერის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 11-13, მთიან რაიონებში, ქართლის ბარსა და კახეთში 7-10, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში 2-7 გრადუსი უნდა ვივარაუდოთ, რაც საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე დაახლოებით 3 გრადუსით დაბალია. თვის მესამე დეკადაში აცივება და ტემპერატურის დაკლება მოსალოდნელი — ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 0 პლუს 5 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში კი მინუს 7, მინუს 12 გრადუსამდე, ხოლო დანარჩენ რაიონებში მინუს 1, მინუს 6 გრადუსამდე.

ამრიგად, ციტრუსოვანთა ნაყოფს ზრდა მოუწევს დაბალი ტემპერატურული რეჟიმის პირობებში.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოს სამხრეთ სანაპირო რაიონებში და ქართლის ბარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან ახლოს, დანარჩენ რაიონებში კი მეტი, რაც გაართულებს მინდვრის სამუშაოებს, განსაკუთრებით მთიან რაიონებში. ამიტომ აქ რაც შეიძლება სწრაფად უნდა აიღონ მოსავალი. ასევე უნდა დაჩქარდეს საშემოდგომო მარცვლეული კულტურების თესვის ტემპი, რათა ნათესებმა დაზამთრებამდე ნორმალური განვითარება მოასწროს.

ნ. ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსი.

ბაბუას მოლოდინში.

ს. კილაძის ფოტო.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის მზადების უკანასკნელი დღეებია. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში იმართება ლიტერატურული საღამოები, ლექცია-საუბრები, გამოფენები... მის ხსოვნას ეძღვნება საიუბილეო გამოფენა, რომელიც საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის

ლიტერატურულ მუზეუმში

ეწყობა.

მუზეუმის ოთხ განახლებულ დარბაზში ქრონოლოგიურად წარმოდგენილი იქნება მწერლის ბავშვობა და ყრმობა, სტუდენტობის პერიოდი, საზოგადო მოღვაწეობა, „იერიაში“ მუშაობა. სტენდებზე გამოფენენ ილიას პირად ნივთებს.

▼▼

ერთ თვეს გრძელდებოდა თბილისში საბავშვო პროგრამების საკავშირო ტელეფესტივალი დევიზით „მეგობრობა გზად და ხიდად“, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა. ამ ხნის მანძილზე საქართველოს ტელევიზიამ უჩვენა ვიდეოზე ჩაწერილი 24 გადაცემა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ წარმოადგინა. და აი,

ფესტივალი დამთავრდა

გაიმართა დასკვნითი საღამო და დიპლომებიც „გაანწილდა. პირველი ხარისხის დიპლომი მიეკუთვნა ლატვიის რესპუბლიკის ტელევიზიის საბავშვო პროგრამების მთავარ რედაქციას მაღალი პროფესიონალიზმითა და დახვეწილი გემოვნებით მომზადებული გადაცემისათვის, მეორე — ჩელიაბინსკის, ხოლო მესამე — ლენინგრადის ტელესტუდიების ნამუშევრებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს მაყურებლის პრიზით დაჯილდოებული ლიტვის რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილი გადაცემა „თოჯინების თეატრი“, რომლის მონაწილეებიც თავად ბავშვები იყვნენ. ყურადღება მიიპყრო უზბეკეთის ტელევიზიის პრობლემატურმა გადაცემამ მოზარდებში ნარკომანიის გავრცელების საკითხზე.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტებისა და საქინფორმის მასალები ამ რუბრიკისათვის მოამზადა ბ. ბახტურიძემ.

დაკვეტილი მუზეუმი და საქოველთაო თავსამტვრევი

ნამყოფი *ხართ ჭყვიშში, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სოფელში, დაგითვალიერებიათ სახლები და ეზო-გარემო, სადაც ისინი დაიბადნენ და აღიზრდნენ?*

თუ ნანახი გაქვთ, ხომ კარგი, თორემ ახლა ძალიანაც რომ მოინდომოთ, სანახევროდაც ვერ დაიკმაყოფილებთ სურვილს.

როგორ თუ სანახევროდაო?— გაიკვირვებთ თქვენ.

სრულიად უბრალოდ: შეგიძლიათ ნახოთ გალაკტიონ ტაბიძის ქოხი მთელი თავისი მომხიბვლელობით, ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმში კი, ნურას უკაცრავად, ფეხსაც ვერ შედგამთ — გამოკეტილია.

შეცდომაში არ შეგიყვანოთ და არ დაგაბნიოთ ლამაზად გაფორმებულმა და დასურათებულმა ბუკლეტმა — „ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმი“, რომელიც იქნებ თქვენს ხელში მოხვდეს. ის თქვენ ვერავითარ მეგზურობას ვერ გაგიწევთ, თუმცა მისი ავტორი გულით და სულით მოწადინებულია წინასწარ დაგაკვალინოთ: „ესტუმრებით პოეტის აივნიან ოდას... აივნით ქვის პატარა კიბეს, წუთით შედგებით, გადახედავთ ბაღ-ვენახებით მოქარგულ მადლიან მიწას... შედიხართ სახლში და ათვალიერებთ სათუთად დაცულ ექსპონატებს: მამისეული მაგიდა, წიგნების კარადა, რკინის სკივრი ძველი ხელნაწერებისათვის, ჭადრაკი, ნარდი, მამის ხელჯოხი...“

არაფერი ამის მსგავსი: ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმი ჩარაზულ-ჩაბოქლომებულია (ღია მხოლოდ მოგვიანებით ამენებული საექსპოზიციო დარბაზი). ბუკლეტი ტყუის. ეტყობა, იგი ძველია. ძველად კი მართლაც ისე იყო, როგორც ამ ბუკლეტშია აღწერილი. ჯერ კიდევ 1968 წლის ზაფხულში, როცა ქართველმა ხალხმა თავის ღირსეულ შვილს დაბადების 70 წლისთავი გადაუხადა, პოეტის ძმამ სიმონ ტაბიძემ იზრუნა და საზოგადოებრივ საწყისებზე მოაწყო ეს მუზეუმი აქ, მამაპაპეული საძმო სახლში. მართლაც რომ მისი სათუთი და მოსიყვარულე ხელი ეტყობოდა აქ ყველაფერს და გარდაცვალებამდე, 1972 წლამდე, თვითონ იყო სახლ-მუზეუმის მასპინძელიც და მეგზურიც. 1980 წელს კი სიმონის მიერ შეკრებილი და ნაფერებ-ნალოლიავები ექსპონატების საფუძველზე ოფიციალურად გაიხსნა ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმი.

კი მაგრამ, მერე ვინღა დაკეტა უკვე სახელმწიფო დაწესებულებად ქცეული ეს სახლი?

ენვერ ტაბიძემ ქმნა ეს საქმე, ბატონო, სიმონ ტაბიძის ვაჟიშვილმა, ტიციანის მკვიდრმა ძმისწულმა.

სახლი ჩემიაო, საკუთრების უფლება გამოაცხადა მან მუზეუმზე და სიტყვა რომ შეუბრუნეს და შეედავენ, სასამართლოში აღძრა საქმე. სასამართლო ორგანოების საბოლოო გადაწყვეტილებამდე კი საჭიროდ ჩათვალა გამოეკეტა მუზეუმის კარი. გასაღები ჯიბეში ჩაიდო და თბილისს გაუტია.

მერედა, ხომ არ გგონიათ საოცარი ამბავია? ეს ეროვნული ღირსების, კულტურული, მოქალაქეობრივი სიმამაცისა და სიმწიფის პოზიციიდან საკითხის მართებულ დასმად.

სავსებით მართებულია საპატიო წოდებათა მინიჭების თაობაზე საკითხის დაყენებაც, თუმცა დღეისათვის არსებული სისტემის შეცვლა, ალბათ, ჯერჯერობით ნაადრევი და შეუძლებელია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიზაციის ლოგიკა აუცილებლად მიგვიყვანს ხელოვნების მუშაკთა „წოდებრივი“ დახარისხების უარყოფამდეც. ერთადერთი ნამდვილი ხარისხი, რომელიც შეიძლება არსებობდეს ხელოვნებაში, ნიჭიერებისა და ხალხის მიერ აღიარების ხარისხია, განა წახდა რაიმე იმით, რომ ჩვენ პრაქტიკულად უარი ვთქვით „სახალხო პოეტის“ წოდების მინიჭებაზე, რომელიც ჯერჯერობით კვლავ არსებობს ზოგიერთ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში? განა ამის გამო ქართველ ხალხს უჭირს იმის გარჩევა, ვინ არის და ვინ არ არის მისთვის სახალხო პოეტი?

თავმდაბლობა, სიდარბაისლე, სისადავე ყოველთვის უსდებოდა ჭეშმარიტ შემოქმედებასა და ნიჭიერებას.

ალექსანდრე ალექსიძე,
პროფესორი.

საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინოს!

ვიზიარებ გაზეთის თვალსაზრისს

მრავალ იუბილეთაგან, რომელთაც ჩემი ცხოვრების მანძილზე დავსწრებივარ, განსაკუთრებით დამახსოვდა აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის იუბილე უნივერსიტეტის საქტო დარბაზში. მაშინ იუბილეთა განსაკუთრებული სიჭარბისა და პომპეზურობის პერიოდი იყო და მახსოვს, როგორ გვეუცხოვა იმ დროის ახალგაზრდებს საერთო ფონზე გიორგი ჩუბინაშვილის საიუბილეო-საღამოს აკადემიური სისადავე: ღვაწლმოსილმა მეცნიერმა წაიკითხა მოხსენება ქართული ხელოვნების ისტორიის ერთ კონკრეტულ საკითხზე.

შედეგად მე მქონდა საშუალება დავსწრებოდი სხვადასხვა საიუბილეო შეკრებას რესპუბლიკისა და ქვეყნის გარეთაც მსოფლიოს განვითარებულ და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, და სულ უფრო მეტად მომტკიცდებოდა რწმენა, რომ ადამიანის უზომოდ განდიდება და პირში ქება უკულტურობის ნიშანი იყო. ამიტომ იუბილეშინის წინააღმდეგ გაზეთ „კომუნისტის“ გამოსვლა მიმაჩნია სწორედ ჩვენი ეროვნული ღირსების, კულტურული, მოქალაქეობრივი სიმაღლისა და სიმწიფის პოზიციიდან საკითხის მართებულ დასმად.

სავსებით მართებულია საპატიო წოდებათა მინიჭების თაობაზე საკითხის დაყენებაც, თუმცა დღეისათვის არსებული სისტემის შეცვლა, ალბათ, ჯერჯერობით ნაადრევი და შეუძლებელია. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიზაციის ლოგიკა აუცილებლად მიგვიყვანს ხელოვნების მუშაკთა „წოდებრივი“ დახარისხების უარყოფამდეც. ერთადერთი ნამდვილი ხარისხი, რომელიც შეიძლება არსებობდეს ხელოვნებაში, ნიჭიერებისა და ხალხის მიერ აღიარების ხარისხია, განა წახდა რაიმე იმით, რომ ჩვენ პრაქტიკულად უარი ვთქვით „სახალხო პოეტის“ წოდების მინიჭებაზე, რომელიც ჯერჯერობით კვლავ არსებობს ზოგიერთ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში? განა ამის გამო ქართველ ხალხს უჭირს იმის გარჩევა, ვინ არის და ვინ არ არის მისთვის სახალხო პოეტი?

თავმდაბლობა, სიდარბაისლე, სისადავე ყოველთვის უსდებოდა ჭეშმარიტ შემოქმედებასა და ნიჭიერებას.

ალექსანდრე ალექსიძე,
პროფესორი.

წერილი „კომუნისტს“

ვ. კორეტნიკი: „ოგონიოკი“ აღიდგენს თქვენს კეთილგანწყობილებას“

პატივცემულო ამხანაგებო!

ესეს *არის წამაკითხეს „კომუნისტიდან“ თარგმნილი სტატია, რომელიც ასახავს მკითხველთა აღშფოთებას ვ. ცვეტოვის სტატიის გამო „ახლა ამაზე შეიძლება თქვას“, რომელიც ჟურნალ „ოგონიოკში“ დაიბეჭდა. მინდა ბოდიში მოგიხადოთ და მოგახსენოთ, რომ წყენის ეფექტი, რომელიც ასე მკაფიოდ არის გამოხატული „კომუნისტის“ სტატიაში, შეგნებულად არ გამოგიწვევია. კიდევ ერთხელ გთხოვთ, მომიტევოთ.*

ის, რომ ვ. ცვეტოვის სტატიის გამოქვეყნებისას მოსკოვში არ ვიყავი, სრულიადაც არ მამართლებს მე, როგორც „ოგონიოკის“ მთავარ რედაქტორს. ჟურნალის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში გამოვაქვეყნებთ სტატიას, რომელიც დასაბუთებულად ედავება ვ. ცვეტოვის გამონათქვამებს.

„ოგონიოკს“ დაუბეჭდავს და კვლავაც დაბეჭდავს ძალზე ბევრ კეთილმოსურნე, მეგობრული გრძნობით გამსჭვალულ სტატიას საქართველოს ისტორიის, საბჭოთა ხანაში საქართველოს აყვავების შესახებ; მე მგონია, არც ერთი სხვა საკავშირო გამოცემა არ აკეთებს ამას ასეთი მოცულობით. პირადად ჩემთვის — და ეს არაერთხელ მითქვამს და დამიწერია — საქართველოსთან და მის ადამიანებთან პირადი ურთიერთობა და მეგობრობა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

ძალიან მინდა, რომ დღეს საქართველოში ეს ვინმეს მაინც ახსოვდეს. მე მგონია, ჩვენ მოვალენი ვართ დღენიადაგ და სათუთად გავუფრთხილდეთ ერთმანეთის ღირსებას, უყოყმანოდ გვჯეროდეს ერთმანეთისა.

იმედი მაქვს, „ოგონიოკი“ და პირადად მე აღვიდგენთ თქვენს კეთილგანწყობილებას. მაშინ კი ჩვენი შეხვედრები ერთმანეთისთვის კვლავინდებურად სიხარულის მომგვრელი იქნება.

უღრმესი პატივისცემით

ვიტალი კორეტნიკი,
ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარი რედაქტორი.
1987 წ. 29 სექტემბერი, მოსკოვი.

სიჩქარე!

ბოლოდროინდელი ეკრანზე

მოსკოვი
18 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — ფილმი-ბავშვებს. „ყოველ მონადირეს სურს იცოდეს...“. 10.50 — თათრული ხალხური მელოდიები. 11.10, 17.00 და 17.55 — ახალი ამბები. 17.20 — დოკუმენტური ფილმები. 18.00 — „მხიარული სტარტები“. 18.45 — გფრ-ის ტელევიზიის პროგრამა. 19.40 — პოეზიის წუთები. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00—მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. 20.05 — „მრგვალი მაგიდა“ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში. 20.50 — ახალი ამბები. 21.00 — მხატვრული ტელეფილმი „ამსტერდამელი ქალბატონი“ (გფრ). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ტელეხიდი ლენინგრადი — მაინცი (გფრ). 23.50 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ფიზიკა. X კლასი. 10.05 და 14.35 — ფრანგული ენა. 11.05 — ბ. სალტიკოვ-შჩედრინი. ზღაპრები. 11.35 და 12.40 — ბუნებისმეტყველება. III კლასი. 11.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 12.10 — რუსული მეტყველება. 13.00 — მხატვრული ფილმი „შემოიარეთ ხვალ“. 15.05 და 19.00 — ახალი ამბები. 15.10 — დიალოგი კომპიუტერთან. 19.15 — გორკის ავტოქარხნის რეკონსტრუქციის პრობლემები. 19.45 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა“. 20.30 — მუსიკალური კიოსკი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარეებო!“. 21.15 — რიტმული ტანვარჯიში. 21.45 — უკრავს ე. მოსკვიტინა (არფა). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — გარდაქმნის პროექტორი. 22.50 — ფილმ-კონცერტი „სიმღერა გვიხმობს“. 23.55 — დოკუმენტური ტელეფილმი. 0.15 — ახალი ამბები.

თბილისი
18 ოქტომბერი

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კაპიტანი ჩიჯავაძე“. 9.55 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რისთვის იბრძვის „წითელი მებრძოლი“. 10.15 — „საერთაშორისო დღიური“. 13.00 — „ნაშუადღევს“. საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 16.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.20 — შეეისწავლოთ ინგლისური ენა. 16.50 — მოსწავლეთათვის. „ბასწავლეებლის დღე“. 17.50 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისადმი. „მეგობრობა გზად და ხიდად“ (ლიტერატურული სიმხიარული). 19.00 — „ჩვენი სტუმრები (სტუდიაში არიან სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო კონფერენციის მონაწილეები). 19.40 — „საბჭოები გარდაქმნის გზაზე“. 20.00 — მოამბე. 20.35 — „რეგელი-87“. 20.40 — „გარდაქმნის წახნაგები“. დიალოგი გადაცემის დაწყების წინ“. 21.30 — სპორტული გადაცემა. 22.00— „ვრემია“. 22.40 — „გარდაქმნის პროექტორი“ (მ.). 22.50 — ტელეხიდი ლენინგრადი-მაინცი (გფრ) (მ.).

მეორე პროგრამა. 15.55 — მხატვრული ფილმი „იცხოვრო შენებურად“ (ქართულ ენაზე). 17.25 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ეადაშლილი სული“, „დუბრავა“. 18.25 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.00 — სატელევიზიო დადგმა „ეამი ყვითელი ფოთლებისა“ (I ნაწილი). 20.00 — მოამბე. 20.35 — სატელევიზიო დადგმა „ეამი ყვითელი ფოთლებისა“ (II ნაწილი).

სპორტი

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

პირველი შედეგის მოლოდინში

ახლა *საჭადრაკო სამყაროს გულისყური ესპანეთის ქალაქ სევილიისკენ არის მიპყრობილი. 10 ოქტომბერს აქ საზეიმოდ გაიხსნა გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩი მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისათვის. ლოპე დე ვეგას თეატრის ათასკაციანმა დარბაზმა, ცხადია, ყველა მსურველი ვერ დაიტია. გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ალფონსო გერა, სევილიის მერი მანუელ არევალო, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ფლორენსო კამპომანესი, მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე პედრო როდრიგესი და სხვა ოფიციალური პირები.*

თანამედროვეობის ორი უდიდესი მოჭადრაკის რიგით მეოთხე მატჩი, რა თქმა უნდა, საყოველთაო ინტერესს იწვევს. პრესცენტრში, რომელსაც ქართველი დიდოსტატი თამაზ გიორგაძე ხელმძღვანელობს, უკვე 260 ჟურნალისტია აკრედიტებული, ცალკეულ პარტიებს კომენტარს გუკეთებენ სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი მოჭადრაკეები. სევილიაში ჩავიდნენ ალექსი სუეტინი, ედუარდ გუფელდი, ორგანიზატორები მოელიან აგრეთვე მაია ჩიბურდანიძეს, მიხეილ ტალს, ვასილ სმისლოვს. „ეს იქნება ჭადრაკის მსოფლიო დღესასწაული“, — განაცხადა ფლორენსო კამპომანესმა. ცხადია, ბევრი პროგნოზი გამოთქვა მოსალოდნელ შედეგთან დაკავშირებით. არგენტინელი დიდოსტატის მიგელ ნაიდორფის აზრით, ამ მატჩის ბედი 20 პარტიამდე გადაწყდება. ვინ გაიმარჯვებს? ამ კითხვაზე პასუხისაგან ნაიდორფმა თავი შეიკავა.

...გუშინ საღამოს გაიმართა პირველი პარტია. წილისყრით თეთრი ფიგურები ანატოლი კარპოვს ერგო. აქვე გაცნობებთ, რომ პარტიები ადგილობრივი დროით 16 საათსა და 30 წუთზე (თბილისის დროით — 19,30) დაიწყება.

ქუთაისის „ომენგელი“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონია!

ქართველმა *რეგბისტებმა გაწმეორებით სუპერფინალურ მატჩზე, ამჯერად მეტოქის მოედანზე, დაამარცხეს „გაგარინის სახელობის სამხედრო-საავიაციო აკადემიის გუნდი — 18:7. მესამე დამატებითი მატჩი საჭირო აღარ არის — ქუთაისელი რეგბისტები პირველნი მივიდნენ მრავალთვიანი მარათონის ფინიშთან. 10:0 და 18:7 — ზედიზედ ორი დამაჯერებელი გამარჯვება.*

წლევანდელ სპორტულ სეზონში „მშენებელმა“ ორი დიდი სიმაღლე დალაშქრა — საბჭოთა კავშირის თასიც, მოიპოვა და ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალიც. ქუთაისელ რეგბისტთა მიღწევა უნიკალურია. „მშენებელი“ რეგბის პირველი ქართული გუნდია, რომელმაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ვუსურვებთ ქუთაისელ რეგბისტებს, ყველა გულშემატკივარს.

მიზანთან ახლოს

1:1 — ასეთი *ანგარიშით დამთავრდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც გასულ შაბათს ბერლინში გაიმართა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ამ შეხვედრას განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ ფეხბურთის მოყვარულები. საქმე ის არის, რომ გამარჯვების შემთხვევაში საბჭოთა ნაკრები უკვე ინაღდებდა ფინალის ერთად-ერთ საგზურს. მართალია, ჩვენმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ქულის მოპოვება შეძლეს, მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ეს ფრე თითქმის გამარჯვების ტოლფასია. ახლა საბჭოთა გუნდს 11 ქულა აქვს და ახლოს არის მიზანთან. — ფინალში გასასვლელად საკმარისია ისლანდიის ნაკრებთან ბოლო მატჩის ფრედ დამთავრება (ეს შეხვედრა, როგორც იცით, 28 ოქტომბერს სიმფეროპოლში გაიმართება).*

ტურნირი ■ მატჩი ■ შედეგი

ფეხბურთი. *გაიმართა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები. თბილისის დინამოელები მოსკოვში ადგილობრივ „სპარტაკს“ შეხვდნენ.* მატჩის ძირითადი დრო ფრედ — 1:1 დამთავრდა (თბილისელთაგან გოლი გუბაზმა გაიტანა), დამატებით დროში კი სპარტაკელებმა კიდევ ერთი ბურთის გატანა შეძლეს და გაიმარჯვეს — 2:1. უნდა აღინიშნოს, რომ დინამოელთა მწვრთნელებმა მოედანზე ძირითადად სათადარიგო მოთამაშეები გამოიყვანეს.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ნეფთჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (მოსკოვი) — 3:0, „ალანია“ (ყაზანი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 4:1, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (მინსკი) — 2:1. ნახევარფინალური შეხვედრები 25 ოქტომბერს გაიმართება, ფინალი კი — 21 ნოემბერს.

თანამედროვე ხუთეიანი. *დასავლეთ ბერლინში დაიწყო ევროპის „ხუთი ღირსების რაინდთა“ ჩემპიონატი. პირველი სპორტული (ფარიკაობა) შემდეგ დაწინაურდნენ საბჭოთა სპორტსმენები. პირად ჩათვლაში ლიდერობა ხელთ იგდო მოსკოველმა ალექსი ხაპლანოვმა — 1062 ქულა, თბილისელი ვახტანგ იაგორაშვილი 1000 ქულით ჯერჯერობით მესამე ადგილზეა. გუნდურ ტურნირში საბჭოთა ნაკრებს 2783 ქულა აქვს და 93 ქულით უსწრებს უნგრეთის კოლექტივს.*

**რედ